პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 29 (18571) პარასკევი, 4 თებერვალი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მორიგ სხდომაზე განიხილა მთელი რიგი საგარეო-პოლიტიკური საკითხები. მათ შორისაა ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მიმდინარე წლის იანვარში პრაღაში პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე გამომუშავებული ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა საინიციატივო წინადადებების თანამიმდევრული განხორციელება. განიხილეს საბჭოთა კავშირისა და ინდო-ჩინეთის ქვეყნების თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისა და განვითარების პრაქტიკული ღონისძიებანი.

განიხილეს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების უმაღლესი დონის ეკონომიკური თათბირის მომზადებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მოისმინა ინფორმაცია სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის 1982 წლის მუშაობის შესახებ.

გამოცდილებაზე დაყრდნობით, დისციპლინის განმტკიცებით

საქართველოს სსრ რესპუბლიკის მშრომელთა 1983 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

საქართველოს სსრ რესპუბლიკის მშრომელებმა, რომლებიც დადგნენ შრომითს ვახტზე სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის აღსანიშნავად და გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ყოველ დარგში საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევისათვის, დამაჯერებელ შედეგებს მიაღწიეს საიუბილეო წელს.

გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 315 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. წარმოების მოცულობა 3,8 პროცენტით გაიზარდა. გადაჭარბებით შესრულდა ნავთობის მოპოვების, მაგისტრალური ელმავლების წარმოების, აბრეშუმის ქსოვილების, ზედა ტრიკოტაჟის, ტყავის ფეხსაცმლის, ნატურალური ჩაის გამოშვების დავალებანი და ა. შ.

შრომის ნაყოფიერება 1980 წელთან შედარებით 11,4 პროცენტით გაიზარდა. ამის მეოხებით მიღებული ეროვნული შემოსავლის მატების 81 პროცენტზე მეტი. გაუმჯობესდა საწარმოო ფონდების გამოყენების მაჩვენებლები, ამაღლდა შრომის ფონდაღჭურვილობა. წარმოების საერთო მოცულობაში ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის წილი დაახლოებით 14 პროცენტს შეადგენს.

სოფლის მშრომელებმა ამინდის არახელსაყრელ პირობებში წარმატებით შეასრულეს მარცვლეულის, ხორცის, რძის და სხვა სახეობათა სასურსათო პროდუქტების დამზადების დავალებანი. დამზადებულია რეკორდული რაოდენობის ჩაი — 537 ათას ტონაზე მეტი. მარცვლეულისა და ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადებაში მიღწეული წარმატებებისათვის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მილოცვა. თანამიმდევრულად ხორციელდებოდა რესპუბლიკის სასურსათო პროგრამა.

მშენებლებმა შეასრულეს დიდი მოცულობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, ათვისებულია 11 პროცენტით მეტი კაპიტალური დაბანდებანი და შესრულებულია 5 პროცენტით მეტი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები ვიდრე 1981 წელს. კარგად იშრომეს აგრეთვე ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მომსახურების სფეროს, კულტურისა და მეცნიერების მუშაკებმა.

ხუთწლედის ორი წლის მანძილზე მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი 6,2 პროცენტით გაიზარდა. საცალო საქონელბრუნვის მოცულობა გაიზარდა 9,2 პროცენტით, საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციისა 17,2 პროცენტით. საბინაო პირობები გაიუმჯობესა 33 ათასზე მეტმა ოჯახმა. ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მოცულობა 1980 წელთან შედარებით 8,5 პროცენტით გაიზარდა.

ეს წარმატებანი შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოები, სამეურნეო ხელმძღვანელები, სახალხო მეურნეობის დარგების შრომითი კოლექტივები ახორციელებდნენ პოლიტიკურ-ორგანიზატორულ და მასობრივ-აღმზრდელობითს მუშაობას, რათა შესრულებინათ გეგმები და ვალდებულებანი, დაენერგათ შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, საქმიანობის ყველა სფეროში განმტკიცებინათ სახელმწიფო, საგეგმო, საფინანსო და შრომის დისციპლინა, აემაღლებინათ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისა და მისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონე.

საქართველოს სსრ მშრომელები, რომლებიც არ სჯერდებიან მიღწეულს და ხელმძღვანელობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებით, **გეორგიევსკის ხელშეკრულების — რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის მანიფესტის 200 წლისთავის წელს კისრულობენ შემდეგ სოციალისტურ ვალდებულებებს:**

მრეწველობის დარგში

უპირატესი ტემპით განავითარონ მანქანათმშენებლობის პროგრესული დარგები, მნიშვნელოვნად გაზარდონ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება.

სამრეწველო წარმოების გეგმა შეასრულონ ვადამდე, 1983 წლის 29 დეკემბრისათვის და მიაღწიონ წარმოების მოცულობის ზრდას 5 პროცენტით გეგმით გათვალისწინებული 4,6 პროცენტის ნაცვლად. უზრუნველყონ მაღალი მიჯნების მიღწევა 110 მილიონი მანეთის ზეგეგმითი სამრეწველო პროდუქციის, მათ შორის 80 მილიონი მანეთის სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების შედეგად.

გეგმის გადაჭარბებით აწარმოონ შემდეგ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქცია:

— ელექტროენერგია — 50 მილიონი კილოვატსაათი,
— ქვანახშირი — 20 000 ტონა;
— თუჯი — 1 500 ტონა;
— ფოლადი — 1 100 ტონა;
— შავი ლითონების ნაგლინი — 1 000 ტონა;
— ფოლადის მილები — 800 ტონა;
— მანგანუმის მადანი — 20 000 ტონა;
— ნავთობი — 4 000 ტონა;
— მინერალური სასუქები — 2 000 ტონა;
— სინთეზური ამიაკი — 2 500 ტონა;
— კაპროლაქტამი — 200 ტონა;
— ლითონსაჭრელი ჩარხები — 20 ცალი;
— სატვირთო ავტომობილები — 50 ცალი;
— სამრეწველო ელმავლები — 1 ცალი;
— ფერადი ტელევიზორები — 500 ცალი;
— ავეჯი — 400 ათასი მანეთისა;
— ცელულოზა — 150 ტონა;
— ქაღალდი — 100 ტონა;
— აბრეშუმის ქსოვილები — 100 ათასი გრძივი მეტრი;
— ზედა ტრიკოტაჟი და ტრიკოტაჟის საცვალი — 200 ათასი ცალი;
— წინდები — 150 ათასი წყვილი;
— ბაიხაო ჩაი — 600 ტონა;
— ცემენტი — 3 000 ტონა;
— შიფერი — 50 ათასი პირობითი ფილა;
— თევზის კონსერვი — 750 ათასი პირობითი ქილა.

აამაღლონ შრომის ნაყოფიერება 1982 წელთან შედარებით 3,4 პროცენტით და შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად მიიღონ სამრეწველო პროდუქციის მატების 70 პროცენტი.

უზრუნველყონ პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის გეგმების შესრულება მიწოდების ხელშეკრულებათა და ვალდებულებათა გათვალისწინებით.

55 პროცენტამდე გაზარდონ მრეწველობაში შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადულ ფორმაზე მუშათა გადაყვანა.

საგეგმო გაანგარიშებებთან შედარებით 0,2 პროცენტით გაზარდონ ფონდუკუგება.

აგროსამრეწველო სასურსათო კომპლექსის დარგში

განახორციელონ ღონისძიებანი, რათა მაქსიმალურად ალმოფხვრას 1982 წლის ამინდის არახელსაყრელი პირობების შედეგები, რომლებმაც მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა სასურსათო კომპლექსის დარგებს.

მიწის, საწარმოო ფონდების, მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების უკეთ გამოყენების, მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის გადიდების, სოფლის მეურნეობის ნედლეულის სამრეწველო გადამუშავების პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების დანერგვის, საწარმოო პროცესების მექანიზაციის დონის ამაღლების საფუძველზე ყოველმხრივ შეუწყონ ხელი წარმოების ზრდის ინტენსიური ფაქტორების როლის გაძლიერებას და მისი ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას.

აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების მთლიანი პროდუქციის მოცულობა გაზარდონ 4.668,7 მილიონ მანეთამდე, ამით ხუთწლედის სამი წლის გეგმა შეასრულონ 101,3 პროცენტით.

სოფლის მეურნეობის დარგში

სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა კულტურის აამაღლების, მიწების მელიორაციის, სოფლის მეურნეობის ქიმიზაციისა და მექანიზაციის გაფართოების ღონისძიებათა განხორციელების შედეგად გაზარდონ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა 2.355 მილიონ მანეთამდე, ხოლო 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე წარმოებული პროდუქციის მოცულობა — 75 ათას მანეთამდე.

შრომის ნაყოფიერება სოფლის მეურნეობის საზოგადოებრივ სექტორში გაზარდონ 9,4 პროცენტით.

გაზარდონ პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის მოცულობანი:

ა) მემცენარეობისა:
— ძალაცლეულისა — 132 ათას ტონამდე;
— კარტოფილისა — 186 ათას ტონამდე;
— ყურძნისა — 770 ათას ტონამდე;
— ხარისხოვანი ჩაის ფოთლისა — 510 ათას ტონამდე;
— ციტრუსებისა — 215 ათას ტონამდე;
— ბოსტნეულისა — 382 ათას ტონამდე;
— შაქრის ჭარხლისა — 100 ათას ტონამდე;
— ხილისა — 540 ათას ტონამდე;
— ბაღჩეულისა — 18 ათას ტონამდე.

ბ) მეცხოველეობისა:
— ხორცისა — 156 ათას ტონამდე;
— რძისა — 291 ათას ტონამდე;
— კვერცხისა — 543 მილიონ ცალამდე;
— მატყლისა — 3100 ტონამდე;

პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდის შედეგად საზოგადოებრივ მეურნეობებში გაადიდონ:
— საშუალო ნაწველი თითოეულ ძროხაზე — 1680 კილოგრამამდე;
— მოქცეულების მეკვერცხეულობა — 175 ცალამდე;
საშუალო სარეალიზაციო წონა:
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 255 კილოგრამამდე;
— ცხვრისა — 25 კილოგრამამდე;
— ღორისა — 95 კილოგრამამდე.

მოსაგები 100 სულ სადგამზე:
— ხბოების და ზაქანისა — 65 სულამდე;
— ბოკვებისა — 1310 სულამდე;
— ბატკნებისა და ციკნებისა — 84 სულამდე;

გაზარდონ საკვების დამზადების მოცულობანი:
სულ უხეში საკვებისა — 1470 ათას ტონამდე, მათ შორის:
— თივისა — 670 ათას ტონამდე;
— სილოსისა — 1100 ათას ტონამდე;
— ძირხვენებისა — 150 ათას ტონამდე;

აამაღლონ ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა ყველა კატეგორიის მეურნეობაში (ცენტნერი ერთ ჰექტარზე):
— სამარცვლე კულტურებისა — 25 ცენტნერამდე;
— შაქრის ჭარხლისა — 408 ცენტნერამდე;
— კარტოფილისა — 142,3 ცენტნერამდე;
— ბოსტნეულისა — 172,2 ცენტნერამდე;
— ხილისა — 71,5 ცენტნერამდე;
— ყურძნისა — 71,5 ცენტნერამდე;
— ხარისხოვანი ჩაის ფოთლისა — 88,7 ცენტნერამდე;
— ციტრუსებისა — 155,7 ცენტნერამდე.

უზრუნველყონ მიწოდება საერთო-საკავშირო ფონდში:
— კარტოფილისა — 69 ათასი ტონა;
— ბოსტნეულისა — 60 ათასი ტონა;
— ხილისა — 90 ათასი ტონა;
— მანდარინისა — 109 ათასი ტონა;
— ფორთოხლისა — 7 ათასი ტონა;
— ლიმონისა — 4 ათასი ტონა;
— სუბტროპიკული ხურმისა — 10 ათასი ტონა.

კაპიტალური მშენებლობის დარგში

კაპიტალური მშენებლობის პროგრამა შეასრულონ იმის საფუძველზე, რომ კიდევ უფრო გააუმჯობესონ სამშენებლო საქმე და აამაღლონ კაპიტალდაბანდებათა ეფექტიანობა, ეკონომიკის დარგებში მათი რაციონალური განაწილების, ერთდროულად მშენებარე ობიექტების რაოდენობის შემცირებისა და ასამშენებელ ობიექტებზე საშუალებათა კონცენტრაციის გზით.

სასაქონლო-სამშენებლო პროდუქციის გეგმა შეასრულონ ვადამდე — 29 დეკემბრს. დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა შეამცირონ 1,5 პუნქტით 1982 წელთან შედარებით.

წლის მანძილზე გეგმით დასახულთან შედარებით 0,2 პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება. 45 პროცენტამდე გაადიდონ ხვედრითი წილი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა, რომლებსაც ახორციელებენ სამეურნეოთაშორისო ბრიგადები.

ვადამდე აამოქმედონ 10,5 ათასი ჰექტარი სარწყავი და 7,3 ათასი ჰექტარი დაშრობილი მიწები, უზრუნველყონ სამოვრების გაწყლიერება 23 ათას ჰექტარზე, სარწყავი სისტემების გარდაქმნა და მათი წყალუზრუნველყოფის ამაღლება 5,9 ათას ჰექტარზე.

საშეფო დახმარება განაგრძონ არაშამფინანსადგიანი ზონის ობიექტების მშენებლობაზე რუსეთის სფსრ რესპუბლიკის ვოლგოგრის ოლქში.

სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა ხარჯზე ვადამდე აამოქმედონ შემდეგი საწარმოო სიმძლავრენი:

ენგურის ჰიდროელექტროსადგური — სტავროპოლის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ელექტროგადამცემი ხაზი;

— 7 ათასი ავტომანქანის საწარმო ახალი სიმძლავრენი ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში;

— საჰხერის ბამბის სართავი ფაბრიკის პირველი რიგი;
— კინდღის მეფრინველეობის ფაბრიკის მეორე რიგი;
— კინდღის სათბურკომბინატი;
— ახალი სიმძლავრენი თბილისის ელმავალსაშენებელ ქარხანაში;
— ახალი სიმძლავრენი ნაფარეულის ღვინის ქარხანაში;
— ასაფრენ-დასაჯდომი ზოლი სოხუმში;
— ტაბახმელის ბიოკომბინატი;
— ზუგდიდის მეფრინველეობის ფაბრიკა;
— კომბინირებული საკვების ქარხანა აბაშაში;
— შეასრულონ სარეკონსტრუქციო სამუშაოები საწარმოო გაერთიანება „ქიათურმანგანუმის“ ცენტრალურ საფლოტაციო ფაბრიკაში.

ააშენონ და განაახლონ 19 კილომეტრი სიგრძის საერთო-სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები. განაგრძონ ქალაქების თბილისისა და გაგრის შემოსავლელი გზების მშენებლობა.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგში

უფრო სრულად დაკმაყოფილოს სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილება ტვირთზიდვა-გადაყვანაზე.

რკინიგზის ტრანსპორტით გეგმის გადაჭარბებით გაგზავნონ 300 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი.

სადგურებში ერთ სატვირთო ოპერაციაზე ვაგონების მოცდენა შეამცირონ 0,1 პროცენტით ნორმასთან შედარებით.

შეადგინონ და გაგზავნონ 10.700 მძიმე წონის მატარებელი და ამ მატარებლებით გადაზიდონ სულ ცოტა 3,5 მილიონი ტონა ტვირთი ნორმის გადამეტებით.

ყველა სახეობის ტვირთზიდვის წლიური გეგმა შეასრულონ 30 დეკემბრისათვის.

საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით დამატებით გადაზიდონ 950 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი და გეგმის გადაჭარბებით შეასრულონ 12 მილიონი მგზავრკილომეტრი. გეგმის გადაჭარბებით გაზარდონ სატვირთო ავტომობილის მუშაობის საშუალო სადღეღამისო ხანგრძლივობა 0,8 პროცენტით, ავტოპარკის გამოყენების კოეფიციენტი:

— სატვირთო ავტომობილებისა — 0,3 პროცენტით;
— ავტობუსების და ტაქსებისა — 0,2 პროცენტით.

გაზარდონ შრომის ნაყოფიერება 3 პროცენტით შარშანდელთან შედარებით.

ყველა სახეობის ტვირთზიდვის წლიური გეგმა შეასრულონ 30 დეკემბრისათვის.

საჰაერო ტრანსპორტით დამატებით გადაიყვანონ 17 ათასი მგზავრი.

შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 0,5 პროცენტით.

საზღვაო ტრანსპორტზე ნავსადგურებში გეგმის გადაჭარბებით გადაამუშაონ 50 ათასი ტონა ტვირთი.

ტვირთზიდვის წლიური გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის.

კავშირგაბმულობის პროდუქციის მოცულობა გაადიდონ 109,1 მილიონ მანეთამდე, ამასთან 4,4 პროცენტით გაზარდონ 1982 წელთან შედარებით.

გაადიდონ საქალაქო სატელეფონო ქსელის სადგურთა საერთო ტევადობა 14,2 ათასი ნომრით, ხოლო სასოფლო სატელეფონო ქსელის სიმძლავრე — 4 ათასი ნომრით.

გაფართოონ საბაგირო ქსელი. ააშენონ და აამოქმედონ 7,6 კილომეტრი საერთო სიგრძის 7 სატვირთო-სამგზავრო საბაგირო გზები და შიგასაქალაქო და ტურისტული დანიშნულების საბაგირო გზები.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში

ახალი ტექნიკის დანერგვისა და წარმოების ტექნიკური დონის ამაღლების ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელების შედეგად მიიღონ ეკონომიკური ეფექტი 80 მილიონი მანეთის ოდენობით, უზრუნველყონ 40 ათასზე მეტი მუშაკის შედარებითი გამოთავისუფლება. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებათა ხაზით სახალხო მეურნეობაში სამეცნიერო გამოკვლევების დანერგვის შედეგად ეკონომიკური ეფექტი მიაღწევს 50 მილიონ მანეთს.

აითვისონ 183 დასახელების ახალი მაღალმწარმოებლური მანქანებისა და მოწყობილობის, ხელსაწყოების, აპარატურისა და სხვა ახალ სახეობათა პროდუქციის წარმოება, რომლებიც შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, მათ შორის ვადამდე:

— მანქანათმშენებლობის 27 სახეობის ნაწარმისა;
— შვიდი სახეობის საყოფაცხოვრებო ავეჯისა;
— „ოვერია ც-210“ ფერადი ტელევიზორის საცდელი ნიმუშისა;
— სამთო სოფლის მეურნეობისა და ტურიზმისათვის განკუთვნილი „მზიური-1“ ავტომატიზებული მართვის სპეციალური სატვირთო-სამგზავრო საბაგირო გზის მოწყობილობის კომპლექსისა.

განახორციელონ პროგრესული ტექნოლოგიის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის 510 ღონისძიება.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში გეგმის გადაჭარბებით აწარმოონ კაზმის ტენიანობის კომპონენტებისა და ბუნკერების ავსება-დაცლის განსაზღვრისათვის საჭირო ავტომატური დანადგარების დანერგვის სამუშაოები.

აამოქმედონ ორი გამოთვლითი ცენტრი.

მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის, წარმოების ტექნიკურ-ეკონომიკური დონის ამაღლების გზით ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის წარმოების მოცულობა ატესტაციისათვის განკუთვნილი სასაქონლო პროდუქციის საერთო მოცულობაში გაზარდონ 43 პროცენტამდე, ხოლო სასაქონლო პროდუქციის მთლიან მოცულობაში — 14,5 პროცენტამდე.

სოციალურ-კულტურული განვითარების დარგში

საცალო ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, სახალხო განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი განვითარების საფუძველზე მაღლონ მოსახლეობის მომსახურების მაღალ კულტურას.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის გეგმა შეასრულონ 29 დეკემბერს. საზოგადოებრივ კვებაში საკუთარი პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულონ 700 ათასი მანეთის, აქედან სამომხმარებლო კოოპერაციაში — 400 ათასი მანეთის გადაჭარბებით.

შეამცირონ ზენორმატიული სასაქონლო მარაგი სახელმწიფო ვაჭრობის საცალო ქსელში 20 მილიონი მანეთით, სამომხმარებლო კოოპერაციაში — 15 მილიონი მანეთით.

საქონელგაცვლითი ოპერაციებისა და დეცენტრალიზებული შესყიდვის წესით საქონლის შემოტანის გზით გამოძებნონ საქონლის დამატებითი რესურსები 185 მილიონი მანეთის, მათ შორის სამომხმარებლო კოოპერაციაში — 85 მილიონი მანეთის ოდენობით.

სახელმწიფო ვაჭრობის სისტემაში თვითმომსახურების მეთოდით საქონლის გაყიდვა გაადიდონ საქონელბრუნვის საერთო მოცულობის 58,6 პროცენტამდე, სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით — 86 პროცენტამდე.

სახელმწიფო ვაჭრობაში 1 კვადრატულ მეტრ სავაჭრო ფართობზე გაანგარიშებით საქონელბრუნვის მატება უზრუნველყონ 3,8 პროცენტით, სამომხმარებლო კოოპერაციაში — 1,1 პროცენტით, ხოლო საზოგადოებრივი კვების საწარმოებში ერთ დასაჯდომ ადგილზე შესაბამისად — 1,3 და 5,8 პროცენტით.

მოამზადონ ვაჭრობის სულ ცოტა 5,7 ათასი კვალიფიციური მუშაკი, მათგან სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით — სულ ცოტა 3 ათასი კაცი.

საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის საგეგმო დავალებანი შეასრულონ 30 დეკემბერს და რესპუბლიკის მოსახლეობას გეგმის გადაჭარბებით გაუწიონ 700 ათას მანეთზე მეტი ღირებულების მომსახურება, მათ შორის საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემაში — 500 ათასი მანეთისა, სხვა სამინისტროებისა და უწყებების სისტემაში — 200 ათას მანეთისაზე მეტი. უპირატესი ტემპით განაგრძონ სოფლის საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარება, დანერგონ სოფლად 10 ახალი სახეობის მომსახურება, დამატებით მოაწყონ სტაციონარული საყოფაცხოვრებო მომსახურება 220 სოფლის დასახლებულ პუნქტში;

ერთი პროცენტით გადააჭარბონ ნავთობპროდუქტების რეალიზაციის, შეგროვებისა და ჩაბარების საგეგმო დავალებებს, 1,5 პროცენტით შეამცირონ ნავთობპროდუქტების დანახარჯები ჩამოსხმის, ჩასხმის, შენახვისა და გაცემის დროს.

აამოქმედონ:
— ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები — 18,44 ათასი მოსწავლისათვის, მათ შორის სოფლად — 10,12 ათასი მოსწავლისათვის;
— სკოლამდელთა დაწესებულებანი — 5,53 ათასი აღსაზრდელისათვის;
— ემაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-ლაბორატორიული ფართობები — 20 ათასი კვადრატული მეტრის ოდენობით;
— პროფტექნიკური სასწავლებლები — დაახლოებით 3 ათასი მოსწავლისათვის.

გაადიდონ რაოდენობა:
— მასობრივი ბიბლიოთეკებისა — 21-ით,
— კლუბებისა — 26-ით,
— კინოდანადგარებისა — 10 ერთეულით.

გეგმით გადაჭარბებით ჩააბარონ 3,5 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

დაიწყონ ბინაკების აღებისა და სარდაფებში საცხოვრებელი სადგომების გაკეთების ტემპი. ვადამდე, 29 დეკემბრისათვის შეასრულონ საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის გეგმა.

აღგამოცემლო საქმიანობაში ლიტერატურის გამოშვების გეგმა შეასრულონ 26 დეკემბრისათვის. 25 ივნისისათვის დაამთავრონ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელმძღვანელოების გამოშვება ახალი სასწავლო წლისათვის.

გეგმის გადამეტებით გაანაღდონ 60 ათასი მანეთის წიგნები და სხვა ბეჭდვითი პროდუქცია, დაზოგონ 25 ტონა ქაღალდი.

პოლიგრაფიაში პროდუქციის რეალიზაციის გეგმა შეასრულონ 27 დეკემბრისათვის, გამოუშვან და გეგმის გადაჭარბებით გაანაღდონ 100 ათასი მანეთის წიგნები და სხვა პროდუქცია. გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი.

წიგნის ვაჭრობაში წიგნის ვაჭრობის გაერთიანება „საქწიგნის“ საცალო საქონელბრუნვის გეგმა შეასრულონ 25 დეკემბერს და მოსახლეობას გეგმის გადაჭარბებით მიჰყიდონ 200 ათასი მანეთის წიგნები და სხვა პროდუქცია.

ჯანმრთელობის დაცვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებით საავადმყოფო საწოლებით უზრუნველყოფა წლის დამლევისათვის გაადიდონ 109,5 საწოლამდე ყოველი 10 ათასი კაცისათვის.

რესურსების ეკონომიის დარგში

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დაზოგონ:
— ელექტროენერგია — 182 მილიონი კილოვატსაათი;
— თბოენერგია — 285 ათასი გიგაკალორია,
— შავი ლითონების ნაგლინი — 19,3 ათასი ტონა;
— ბენზინი — 19,2 ათასი ტონა;
— დიზელის სათბობი — 17,7 ათასი ტონა;
— ხე-ტყის მასალა — 100 ათასი კუბური მეტრი;
— ცემენტი — 65,8 ათასი ტონა;
— საქვაბე-საღუმლე სათბობი — 83 ტონა პირობითი სათბობი,

* * *

საქართველოს სსრ მშრომელებს, რომლებმაც იკისრეს სოციალისტური ვალდებულებანი 1983 წლისათვის და განაგრძობენ ტრადიციულ შრომითს მეტოქეობას აზერბაიჯანის სს რესპუბლიკისა და სომხეთის სს რესპუბლიკის მშრომელებთან, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავდადებული შრომით შეასრულონ სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანები.

სოციალისტური ვალდებულებანი განხილულია შრომითს კოლექტივებში და მიღებულია საქართველოს სსრ კპ რეგიონულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე 1983 წლის 15 იანვარს

გულითადი მილოცვა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ ნიკოლაე ჩაუშესკუს, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრს ამხანაგ კონსტანტინე დასკალესკუს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც მხურვალედ ულოცავენ და ყოველივე საუკეთესოს უსურვებენ საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების 35 წლისთავის გამო.

წუთი რომ ნუთია, ისიც დიდად ფასობს!

წამატებების, საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ დამახინჯებული მონაცემების წარმოდგენის ფაქტები ამხილეს მთელ რიგ საწარმოებსა და ორგანიზაციებში. ყოველივე ეს განიხილეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და კადრების დენადობის შემცირების რესპუბლიკური შტაბის სხდომაზე.

მაგალითად, რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 7 ტრესტის მარნეულმშენის სამშენებლო სამმართველოს ხელმძღვანელებს „დაავიწყდათ“ გაეთვალისწინებინათ მუშების გაცდენები, რამაც აქ გასულ წელს 1026 კაცსაათი შეადგინა. საანგარიშო მონაცემებში არ შესულა აგრეთვე სამუშაო დროის მნიშვნელოვანი დანაკარგი, რომელიც გამოწვეული იყო მთელი დღის მოცდენებით, ადმინისტრაციის ნებართვით თანამშრომელთა სამუშაოზე გამოუცხადებლობით.

იმ მიზნით, რომ შეექმნათ მოჩვენებითი კეთილდღეობის სურათი შრომის დისციპლინის საგეგმო დავალებებისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დარგში, ასეთი ძარღვეებები დაუშვეს აგრეთვე ქობულეთის საქსოვ ფაბრიკაში, ქუთაისის საქალაქო აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს სარემონტო-სამშენებლო უბანზე, ზოგიერთ სხვა საწარმოსა და ორგანიზაციაში.

შტაბმა დასახა კონკრეტული ღონისძიებები ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში სახელმწიფო წესრიგის დამყარებისათვის. კერძოდ, დარგობრივ და რეგიონალურ შტაბებს დაევალათ გააძლიერონ მომთხოვნელობა სამეურნეო ხელმძღვანელებისადმი, რათა მათ დაიცვან საგეგმო, საშემსრულებლო, სახელშეკრულებო და ტექნოლოგიური დისციპლინა, უფრო ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლონ ადგილებზე მუშაობა შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში კადრების დენადობისა და სამუშაო დროის შესამცირებლად. ამ პრობლემების ეფექტიანად გადაწყვეტას დიდად შეუწყობს ხელს აგრეთვე სპეციალური სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ახლა იქმნება რესპუბლიკურ შტაბთან.

დამტკიცდა რესპუბლიკური შტაბის 1983 წლის მუშაობის გეგმა.

შტაბის სხდომის შედეგები შეაჯამა მისმა ხელმძღვანელმა, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ თ. ი. მოსაშვილმა. (საქინფორმი).

პარტიული ცხოვრება:

საქალაქო კომიტეტი და ეკონომიკა

ბათუმის სამრეწველო საწარმოებში ნარჩენებისაგან დაამზადეს 15 ახალი სახეობის პროდუქცია, რომელთა შორის არის ფართო მოხმარების დეფიციტური საქონელიც. ეს შედეგია იმ კომპლექსური პროგრამის წარმატებით რეალიზაციისა, რომელიც პარტიის საქალაქო კომიტეტმა შეიმუშავა მომჭირნეობისა და ყაირათიანობის, მასალა-ნედლეულის რაციონალური გამოყენების რეჟიმის გასაძლიერებლად.

ამ მიმართულებით ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გამოცდილების შესახებ საქინფორმის კორესპონდენტს უამბო პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ზამირ მანჯგალაძემ.

გაუფრთხილდე — ნიშნავს ამრავლო

პარტიის მოთხოვნა — ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს — მთელი სიმწვავით აყენებს დღის წესრიგში დანაკარგების შემცირების, წარმოების ნარჩენებისა და მეორეული ნედლეულის უფრო სრული გამოყენების პრობლემას. ეს, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე ითქვა, ჩვენი გეგმების რეალობის საკითხია. აი რატომ იყო, რომ პლენუმმა ჩვენ, კომუნისტებს, პარტიულ კომიტეტებსა და პარტიულ ორგანიზაციებს დაგვაკისრა პასუხისმგებლობა მათი გადაწყვეტისათვის.

მომჭირნეობისა და ყაირათიანობის, სახალხო დოვლათისადმი მზრუნველი დამოკიდებულების პრობლემები მუდამ იყო პარტიის საქალაქო კომიტეტის, ჩვენი პირველადი პარტიული ორგანიზაციების უყურადღების ცენტრში. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ისინი არასოდეს განგვიხილავსონი ღრმად და ყოველმხრივ, ისე მწვავედ და პრინციპულად, როგორც ახლა. საქმისადმი ასეთ მიდგომას დასაბამი მიეცა ორი წლის წინ, როცა პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს დავალებით ქალაქის ყველა სამრეწველო საწარმოში, სამშენებლო ორგანიზაციებში შეიმუშავეს მატერიალური რესურსების დაზოგვისა და საანგარიშო-საარჩევნო კრებების მიმდინარეობის პროცესში ამ ორგანიზაციათაგან თითოეულთან ჩამოყალიბდა კომისიები, რომლებიც კონტროლს უწევენ ადმინისტრაციის საქმიანობას მატერიალური რესურსების რაციონალურად გამოყენებისათვის.

შედეგმა არ დააყოვნა. მაგალითად, ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის პარტიულ კომიტეტთან არსებული ასეთი კომისიის კონტროლმა უზრუნველყო ამ საწარმოში ვადამდე აეთვისებინათ ახალი ტიპის ჩაის საშრობი ღუმელი, რომლის წონა ორჯერ ნაკლებია წინამორბედთან შედარებით. ასეთი კომისიების მონაწილეობით ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფის ხარჯზე მასალა-ნედლეულის რაციონალური გამოყენების კარგი გამოცდილება შეეძინეს ელექტრომექანიკური, გემთსაშენებელი ქარხნების, სამკერვალო და ტყავის საწარმოო გაერთიანებების კოლექტივებმაც.

ქალაქის შრომითის კოლექტივებში ბევრი რამ კეთდება საწარმოო ნარჩენების მასალა-ნედლეულის ნაშთების გამოსაყენებლად. მთავარი, რასაც ჩვენ მივაღწიეთ, ჩემი აზრით, ის არის, რომ წარმოების მეთაურები სულ უფრო მეტი ხალისით ეკიდებიან რაციონალური გამოყენებისა და ნარჩენებისაგან თითოეულობის ეფექტიანობის ძიებას.

სწორედ ამ გეგმების საფუძველზე შევადგინეთ საერთო-საქალაქო პროგრამა, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს უფრო ზუსტად ვმართოთ მომჭირნეობისათვის ბრძოლა, მიზანმიმართულად ვიღვაწოთ საუკეთესო საბოლოო შედეგების მისაღწევად.

ეს პროგრამა, რომელიც მასალა-ნედლეულის რაციონალური გამოყენების საქმეში ქალაქისა და მთელი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა მრწინავე გამოცდილების საფუძველზეა შედგენილი, ითვალისწინებს ბრძოლას პროდუქციის მასალატევადობის შემცირებისა და ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფის, წარმოების ნარჩენების მაქსიმალური გამოყენებისა და უნარჩენო ტექნოლოგიის ფართოდ დანერგვისათვის, და ბოლოს, მეორეული ნედლეულის შეგროვებისა და ჩაბარებისათვის.

მომჭირნეობისათვის მუშაობაში, ისევე როგორც მთელ თავის საქმიანობაში, პარტიის საქალაქო კომიტეტი პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს ეყრდნობა. კერძოდ, საქალაქო კომიტეტის რეკომენდაციით უკანასკნელი

ნეფტამც სულორში მაცხოვრა!

სულორი ერთ-ერთი მაღალმთიანი და ლამაზი სოფელია ვანის რაიონში. იგი წელიწადის ყველა დროს დიდებული სანახავია. სოფლის გარშემო აღმართულია ბუმბერაზი მთები, რომელთა კალთებზე მერცხლის ბუდეებივითაა მიკრული კოხტა იმერული ოდები. სახლების ირგვლივ ვენახებრ და ხეხილის ბაღებია, რაც აქაურების შეძლებაზე მეტყველებს. სოფელს შუაზე ჩყოფს მთის მდინარე სულორი, რომლის ერთი შტო ძველთაძველ წისქვილზეა მიშვებული. მეწისქვილე კი ივანე დვალიშვილია, რომელიც არათუ თავისი სოფლის ავ-კარგს, ცისა და დედამიწის ამბავს ჩამოგიკაკლავს. გუშინდელივით ახსოვს გერმანელ ფაშისტებთან ომის დროს სად და რამდენი ავაზაკი გამოასალმა სიცოცხლეს მისმა ნასროლმა ტყვიამ. ეს არც არის გასაკვირი, ივანე ახლაც ჩინებულ მონადირედ ითვლება მთელ იმერეთში. ეს სოფლის ცოცხალი მემატიანე დიდი გულისტკივნლით იგონებს იმ დროს, როცა, თითქოს შეითქვნენო, მრავალმა სულორელმა მიატოვა სოფელი, კერა გააცივა და დაბა-ქალაქებში დაიწყო სამუშაოს ძებნა. მერედა, განა ლუკმა პურისთვის?

სწორედ ამის გამო თავიანთ გულისწყრომას ვერ მალავენ სოფლის ამაგდარი კაცები დიმიტრი და კოსტა დვალიშვილები და ბევრი სხვა, რომლებმაც ჯან-ღონე შეალიეს საკოლმეურნეო სოფლის აღორძინებას. — არა გვჯერა ამაზე უკეთესად საიმე იცხოვროს აქაურმა კაცმა, სადღაც კარდაკარ ხეტიალი განა მოსაწონია? თუ კოტა გაირჯები და ოფლს გამოიღენ, ამ სუფთა მთის ჰაერზე შრომასა და ყოფნას რა ჯობსო, — ამბობენ ეს 80 წელს გადაცილებული მხნე კაცები.

მაშ რა მოხდა? რატომ მიატოვა ზოგ-ზოგმა სულორი?

ამ ათეოდე წლის წინათ ეს საუკეთესო მთის სოფელი ბევრმა მიატოვა, ბევრ ოჯახში ჩაქრა თბილი კერა, აღარ ისმოდა მამლის ყივილი, ძაღლის ყეფა...

შემდეგ კი, ამ რამდენიმე წლის წინათ საგონებელში ჩავარდნილმა პარტიის რაიონულმა კომიტეტმა, მისმა ბიუროს, რაისაბჭოს აღმასკომმა, სხვა ხელმძღვანელმა ორგანოებმა ბევრი იღონეს სოფლის ხელმძღვანელებთან ერთად, რომ სულორში დაბრუნებულიყვნ ე ნ სულორელები. საქართვ ე ლ ო ს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მხარდაჭერითა და უშუალო დახმარებით ამ ბოლო ორასამი წლის მანძილზე მართლაც მკვეთრად იცვალა სახე სოფელმა სულორმა. მეურნეობრივად და ორგანიზაციულად განმტკიც დ ა სულორის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც 3 კოლმეურნეობის (სულორის, მულუხის, გადიდის) გაერთიანების შედეგად შეიქმნა, საგანგებო ღონისძიებანი განხორციელდა სოფლის კეთილმოწყობის უზრუნველსაყოფად.

სწრაფად ააგეს სოფლის საშუალო სკოლის სამსართულიანი შენობა. ადრე კი სკოლა უგარეთ, ძველებურ სახლში იყო შეკედლებული. სოფლის ცენტრი დაამშვენა ახალმა სავაჭრო პავილიონმა, სასურსათო და სამეურნეო მაღაზიებმა, სასადილოს ლამაზმა შენობამ. მდინარე სულორზე ორგან ქალ გაიდო კაპიტალური ხიდი და ადრე ერთიმეორეს მოწყვეტილი მოსახლეობა სოფლის ცენტრსა და ვანისაკენ მიმავალ გზატაცელ დაუკავშირდა. სოფლის მთიან, მიუვალ უბნებში 10 კილომეტრი ახალი სამანქანო გზა გაიყვანეს.

როგორც იტყვიან, თვალსა და ხელშუა აშენდა „საქაბელის“ ქარხნის ფილიალი, სადაც 150-ზე მეტი კაცი მუშაობს. მუშა-მოსამსახურენი უზრუნველყოფილი არიან საუკეთესო კომუნალური მომსახურებით. ამ ახალგზდა საწარმომ უმოკლეს დროში 9 ათასი მანეთის მოგება მისცა სახელმწიფოს. სოფელი დაამშვენა სხვა ახალმა ნაგებობებმაც.

სწორედ ამან და კიდევ სხვა კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელებამ საშვილიშვილო სახ-ქმე გააკეთა — თავის სოფელს, მშობლიურ კერას ამ ერთი-ერთ-ნახევარი წლის მანძილზე 200-ზე მეტი კაცი დაუბრუნდა. სახლიხარულია ისიც, რომ მათ შორის უმრავლესობა ახალგაზრდობაა. ერთი სიტყვით სულორს დაუბრუნდნენ სულორელები. რომელი ერთი დავასახელოთ, რამდენი ფაქტი მოვიყვანოთ ამის საილუსტრაციოდ? რაც მთავარია, ახლა გარეგარე არავის უჭირავს თვალი. სოფელი ნამდვილად ადამიანური ცხოვრებით ცხოვრობს და შრომობს. ყველა მონაწილეობს საბჭოთა მეურნეობის შრომაში.

და იცით რა მოხდა? ერთ დროს ჩამორჩენილი, უკანასკნელთა რიგებში მყოფი სულორი დღეს ერთ-ერთი მოწინავე, ყოველმხრივ აღორძინებული' მძლავრი საბჭოთა მეურნეობაა რაიონში.

ვილაპარაკოთ უფრო კონკრეტული ფაქტებით:

სულორელების 400 ჰექტარი ხეხილის ბაღი ავ თვალს არ ეწახება (დამატებით კიდევ 200 ჰექტარი ახალი ბაღი გააშენეს). აქ კარგ შემოსავალს იძლევა თხილი. აქაურებმა წელს 45 ტონა თხილი მიჰყიდეს სახელმწიფოს და საგგმო 9 ათასი მანეთის ნაცვლად 34 ათასი მანეთი შემოსავალი მიიღეს. საერთოდ მეხილეობა აქ ყოველწლიურად 100 ათას მანეთზე მეტს იძლევა. ახლა მესმინდოთ, ბევრ ადამიანს ეკითხავთ? წინა წლებში სანახევროდ დაუმუშავებელს ტოვებდნენ სიმინდის ყანებს და სამარცხვინო მოსავალს იღებდნენ. **ახლა, ეს ორი წელია ზედიზედ უხვი მოსავალი მოჰყავთ. შარშან ჰექტარზე 40 ცენტნერი მარცვალი მოიწიეს, წელს კი 45 ცენტნერი. ეს არა მარტო მთიოთვის, ბარისთვისაც კი სარეკორდოა.** მემინდვრეობის საქმე თუ კარგად მიდის, მეცხოველეობასაც რომ არაფერი გაუჭირდეს! ეს ცხადზე ცხადია. სულორში მეცხოველეობა ოდითგანვე წამგებიანი, არარენტაბელური იყო. ათიათასობით მანეთს ზარალობდნენ. შარშან კი მეცხოველეობიდან 10 ათასი მანეთის მოგება მიიღეს. როგორაო? — იკითხავენ. აი როგორ: წინათ არ იყენებდნენ პირუტყვის საკვების ადგილობრივ რეზერვებს, პირიქით თავი, ნაჯა და სხვა საკვები რაიონის გარედან შემოჰქონდათ. რისთვისაც დიდძალი თანხა იხარჯებოდა. **ამჟამად, რაკი სიმინდის ფართობთან ერთად მოსავლიანობასაც იმატა, ადგილზე აწარმოებენ ხამაოოფ საკვებს. ზოგს გაუკვირდება, მაგრამ ფაქტია, რომ სულორელები უნდა საკვებს ჰყიდიან კიდეც. მარტო შარშანწინ 26 ათასი მანეთის უნდა საკვები გაყიდეს.** ასევე იყო შარშანაც. ამიტომ არის, რომ მკვეთრად განვითარდა საზოგადოებრივი მეცხოველეობა.

ამ ერთ-ერთ ბრიგადაში ბევრ ადგილზე ბალახი ოთხ-ხუთ მეტრამდე ამოსულა. ეს ბალახი ბალიანებმა ერთ-ორ ადგილზე ერთ ადგილზე ერთ ადგილზე ერთ

ᲕᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

ᲣᲙᲣᲚᲘᲗᲣᲚᲘ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘ ᲘᲣᲤᲧᲔᲑᲐ

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲚᲔᲑᲗᲐᲜ

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ იმყოფება სსრ კავშირის გზათა მინისტრი ნიკოლოზ სიმონის ძე კონარევი, რომელიც დაასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 664 გურჯაანის საარჩევნო ოლქში. იგი შეხვდა საგარეჯოს, გურჯაანის, ახმეტის, სიღნაღის, თელავის რაიონების შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებს, რომლებიც ყვარლის, წოიელწყაროსა და ლაგოდეხის რაიონებთან ერთად შედიან ამ საარჩევნო ოლქში, დაინტერესდა მათი საქმეებით, წარმატებებითა და პრობლემებით, გამოკითხა შრომის, ყოფისა და დასვენების პირობები.

თელავში გაიმართა ნ. ს. კონარევის შეხვედრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების გურჯაანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან, შეხვედრაზე შეიკრიბნენ კახეთის რაიონების შრომელთა წარმომადგენლები.

კრების პრეზიდიუმში დეპუტატობის კანდიდატთან ერთად იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. ე. ხაბეიშვილი, ამერკავკასიის რკინიგზის უფროსი ლ. გ. ვარდოსანიძე, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, საარჩევნო ოლქში შემავალი რაიონების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეები.

შეხვედრა გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. ი. შინჯიაშვილმა. მან ილაპარაკა, თუ რა უფდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა სუფევს რესპუბლიკაში ხუთწლედის მესამე, შუაგული წლის სტარტზე.

შეკრებილებმა საპატო პრეზიდიუმში დიდი აღმავლობით აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის მეთაურობით.

ტრიბუნაზეა დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირი — გურჯაანის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე თ. მ. ზარდიაშვილი. მან გაიცნო შეკრებილთ ნ. ს. კონარევის ბიოგრაფია, უამბო მათ, თუ რა დიდი შრომითი გზა განვლო მან რკინიგზის ტრანსპორტზე მუშაობის 30 წელზე მეტი ხნის მანძილზე რიგითი ინჟინერიდან მინისტრამდე, და მოუწოდა ამომრჩევლებს 6 თებერვალს, არჩევნების დღეს, ხმა მისცენ კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატს.

შეხვედრაზე გამოვიდნენ ყვარლის რაიონის სოფელ წიოლდის კოლმეურნეობის პარტკომის მდივანი ა. დ. აღნიაშვილი, ახმეტის ადგილმბრივი მრეწველობის კომბინატის მუშა მ. ც. ამაშუკელი, საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა ლ. ო. აზარაშვილი, საგარეჯოს რაიონის „იორწყალმშენის“ ტრესტის მუშა მ. ი. იორდანაშვილი, წოიელწყაროს № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელი დ. ა. მათიაშვილი, თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ა. მ. სულხანიშვილი.

სიტყვა წარმოთქვა ნ. ს. კონარევმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. მან დიდი მადლიერება გამოხატა და გულთბილი მადლობა გადაუხადა შრომითს კოლექტივებს, რომლებმაც დაასახელეს იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად, აღუთქვა მათ, რომ მთელ თავის ძალებს მოახმარს პარტიის საქმეს, ხალხს სამსახურს, მისი კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

დეპუტატობის კანდიდატმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო, შრომისა და საწარმოო დისციპლინის გაძმტკიცებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად, ისეთი პირობების — ეკონომიკური და ორგანიზაციული პირობების შექმნას, რომლებიც სტიმულს მისცემდა ხარისხიან, ნაყოფიერ შრომას რკინიგზის კონვეიერის ყველა უბანზე. შეეხო რა ამერკავკასიის მგზავრცარლის მუშაობის შემდგომი სრულყოფის პრობლემებს, ნ. ს. კონარევმა აუარადება მიაპყრო იმის, რომ საჭიროა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება.

დასასრულ დეპუტატობის კანდიდატმა კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა ამომრჩევლებს დიდი პატივისცემისათვის და აღუთქვა, რომ ძალ-ღონეს არ ეკიდებურებს მათი ნდობის გასამართლებლად.

ᲐᲚᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲗ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ მინერალური სასუქების წარმების მინისტრი ალექსი გიორგის ძე პეტროშჩევი დასახელებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 670 სამტრედიის საარჩევნო ოლქში. ჩვენს რესპუბლიკაში ყოფნის დროს იგი შეხვდა ამ საარჩევნო ოლქში შემავალი აბაშის, ვანის, გეგეჭკორის, წულუკიძის, სამტრედიის რაიონებისა და ქალაქ წყალტუბოს ზონის მშრომელთა წარმომადგენლებს, გაეცნო შრომითი კოლექტივების ეკონომიკური და სოციალური განვითარების წარმატებებს, ამოცანებს, რომლებსაც ისინი წყვეტენ პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელების მიზნით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების სამტრედიის საარჩევნო ოლქში მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი შეიკრიბა დეპუტატობის კანდიდატთან შეხვედრაზე, რომელიც კულტურის რაიონულ სახლში გაიმართა.

კრების პრეზიდიუმში დეპუტატობის კანდიდატთან ერთად იყვნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. გილაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობის განყოფილების გამგე ბ. დ. მახარაშვილი, საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის“ გენერალური დირექტორი ნ. შ. ცხაკაია, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, წარმოების მოწინავენი.

შეხვედრა გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, პარტიის სამტრედიის რაიკომის პირველმა მდივანმა თ. შ. იმედაძემ.

შეკრებილებმა ერთსულოვნად აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის მეთაურობით.

დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა — სამტრედიის ხის დამმუშავებელი კომბინატის ინჟინერმა ა. ა. კოპალეიშვილმა შეკრებილთ გააცნო ა. გ. პეტროშჩევის ბიოგრაფია, ილაპარაკა იმაზე, თუ რა დიდ ძალ-ღონესა და ენერგიას ახმარს იგი ჩვენს ქვეყანაში და, კერძოდ, საქართველოში სამეურნეო შენებლობის საკითხების წარმატებულ გადაწყვეტას. ორატორმა ოლქის ყველა ამომრჩეველს მოუწოდა 6 თებერვალს, არჩევნების დღეს, ხმა მისცენ დეპუტატობის ღირსეულ კანდიდატს — სოციალისტური შრომის გმირს, ორი ლენინის ორდენისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენის კავალერს.

„ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ“ № 2

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲘᲓᲐ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „პარტიული სიტყვის“ მორიგი, მეორე ნომერი.

რუბრიკით „ვინც სიტყვის ჯარისკაცია“ დაბეჭდილია ლ. ეგოროვის წერილი — ქვეყნად ყველაზე საუკეთესო.

განყოფილებაში „უზრუნველეყოთ იდეოლოგიურად!“ გამოქვეყნებულია მ. ქოჯაიას — განსაზღვრეთ კონკრეტული მიზნები.

რუბრიკით „თანადგომის ორი საუკუნე“ თქვენ გაიცნობთ ი. რიაბენცევის პუბლიცისტურ სტატიას — პირში და პირს უკან.

„აქტუალური ინტერვიუ“ ასეთი ქუდით დაბეჭდილია ბ. გულიაშვილის — დრო ხომ არ წაგართვთ?

ანშლაგით „როგორ ვაზამთრებთ პირუტყვს?“ გამოქვეყნებულია წერილები: ც. შავგულიძისა — როცა გამოცდის წინაშე დგახარ... დ. იასეშვილისა — წინსვლის ბერკეტს აქ ყურადღებას არ აქცევენ.

საერთო სათაურით „სკკპ XXVI ყრილობის კურსით“ ჟურნალი აქვეყნებს წერილებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის მასალების შემსწავლელთა დასახმარებლად.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „რედაქცია ჩაერია, დაეხმარა“; „ჩოგანი“, „ჟურნალის კრიტიკული გამოსვლის შემდეგ: გამოძახილი“; „ამ ტრიალ ქვეყანაზე“; „უცხოეთის პრესიდან“; „თქვენი თხოვნით“; „ბერა-ალაიი“; „სხვა ჟურნალ-გაზეთებიდან“.

● 4 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ, 1983 Წ.

● ᲚᲘᲑᲐᲜᲘ

ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲬᲕᲐᲕᲓᲐ

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ. ლიბანში ახალი შეიარაღებული პროვოკაციებისათვის ისრაელის მხედრობინის ინტენსიური მზადება ხორციელდება ფრონტის მთელი ხაზის გასწვრივ, რომელიც გასდევს ინტერვენტებისა და არაბული სახელმწიფოების მშვიდობის დამცველი ძალების შემადგენლობაში შემავალი სირიის კონტინგენტის პოზიციებს შორის მდებარე ბეკაას ველს. ამ რაიონიდან მოსული ცნობების თანახმად, ისრაელი თავისი ტერიტორიიდან დასახლებული პუნქტების კიფრაიის, ქფარ-კუკის, აინ-არაბის, ადუხის, ჯუბ-ჯენინისა და სხვა რაიონების მოწინავე პოზიციებზე კვლავ გზავნის ტანკებს, ჯავშანტრანსპორტიორებს, საარტილერიო და ნაღმსატყორცნ ბატარიებს.

ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებმა არაერთგზის განახორციელეს სირიის ჯარების პოზიციების დაზვერვა. სირიის საჰაერო თავდაცვის საშუალებები ინტენსიურ ცეცხლს უშენდნენ ისრაელ თავდამსხმელებს.

ბოლო დღე-ღამის მანძილზე წინათ მიღწეული ყველა შეთანხმების საწინააღმდეგოდ ისრაელის ჯარები მრავალეროვანი ძალებისა და ლიბანის არმიის პოზიციების გვერდის ავლით კვლავ შეეცადნენ შეჭრილიყვნენ დასავლეთ ბეირუთში, რათა დაერბიათ პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკების მცხოვრებნი ქალაქის ამ ნაწილში.

ლიბანელ პატრიოტთა ბოლო წარმატებული ოპერაციებით და წარუმატებელი ცდებით აღმოეჩინათ პარტიზანების ჯგუფი, გაგულისებული ინტერვენტები ცხრილავენ ლიბანის დედაქალაქის გარეუბნებს ხადასსა და ლაიკალს. დამსჯელები ყუმბარსატყორცნებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლს უშენენ მცხოვრებთა მიერ მიტოვებულ სახლებს, შენობების ნანგრევებს, ბუჩქნარსა და წარაფებს. ოკუპანტებმა ოპერაციის დროს დახოცეს ან დაჭრეს ამ რაიონებში შემთხვევით დარჩენილი რამდენიმე მშვიდობიანი მცხოვრები, მათ შორის ბავშვები.

● ᲐᲨᲨ

ᲡᲔᲜᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. თვალსაჩინო ამერიკელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, სენატორმა ა. კრენსტონმა ოფიციალურად განაცხადა, რომ განზრახული აქვს თავის კანდიდატურა წამოაყენოს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე დემოკრატიული პარტიისაგან.

კანონმდებელს კალიფორნიის შტატისაგან, რომელიც 68 წლისა გახდა, ამჟამად კონგრესის ზედა პალატაში დემოკრატიული უმცირესობის ლიდერის მოადგილის პოსტი უკავია. ა. კრენსტონი განეკუთვნება იმ პირთა რიცხვს, რომლებიც აქტიურად აკრიტიკებენ ახლანდელი რესპუბლიკური ადმინისტრაციის სამხედრო ხარჯების დაუოკებელი ზრდისა და ბირთვული ომისათვის მზადების კურსს, იგი ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ბირთვული შეიარაღების ურთიერთგაყინვის შესახებ სენატის განსახილველად შეტანილი რეზოლუციის პროექტის ერთ-ერთი ავტორია.

ვაშინგტონში გამართულ პრესკონფერენციაზე ა. კრენსტონმა განაცხადა: მიმაჩნია, რომ ამერიკელთა დიდი უმრავლესობა იზიარებს ჩემს შეფფოთებას გამალებული ბირთვული შეიარაღების გამო, რომელიც ძირს უთხრის ამერიკის ეკონომიკას, ამერიკის საზოგადოებას და საფრთხეს უქმნის თვით ამერიკის შეერთებული შტატების არსებობასაც.

● ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ

ᲨᲔᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲡᲔᲚᲡ ᲮᲚᲐᲠᲗᲐᲕᲔᲜ

ᲓᲔᲚᲘ. ინდოეთის მთავრობამ განახორციელა ღონისძიებანი ამერიკის შეერთებული შტატების იმ გეგმების შესახებ პრესაში დაბეჭდილი ცნობების შესამოწმებლად, რომელთა მიზანია ინდოეთის ეროვნული ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ძირის გამოთხრა. ეს განაცხადა ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პ. ვ. ნარასიმჰა რაომ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული პარლამენტის საკონსულტაციო კომიტეტის სხდომაზე გამოსვლისას.

სარწმუნო წყაროების დამოწმებით ადგილობრივი პრესა წერს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აწყობს შეთქმულებას, რომლის მიზანია შეასუსტოს ინდოეთი და ძირი გამოუთხაროს სხვა სახელმწიფოებში მის გავლენას. ეს შეთქმულება, აღნიშნავს გაზეთ „პეტროიტში“ მისი მთავარი რედაქტორი რ. კ. მიშრა, ნაწილია მსოფლიოში, და, კერძოდ, განვითარებად ქვეყნებში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ძირგამომთხრელი ოპერაციების გაძლიერების რეიგანისეული საერთო გეგმისა. განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება ინდოეთს, რომლის დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა დიდი ხანია აღიზიანებს ვაშინგტონს.

ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს გეგმების თანახმად, განზრახულია ინდოეთი დაანაწევრონ მთელ რიგ მცირე სახელმწიფოებად და ბოლო მოუღონ მის გავლენას საერთაშორისო ასპარეზზე. ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურებმა ბოლო დროს გააქტიურეს საიდუმლო ოპერაციები, რომელთა მიზანია მიიყვანონ რესპუბლიკა ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის მიჯნაზე, გააღვივოს რელიგიურ-თემური შუღლი, სეპარატული გაწყობილება, ჩამოაგდოს განსეთქილება ინდოეთსა და სხვა მეუმხრობელ და განვითარებად სახელმწიფოებს შორის.

ამასთან, ხაზგასმით აღნიშნავს რ. კ. მიშრა, ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურები დიდ იმედებს ამყარებენ ქვეყნის მემარჯვენე ოპოზიციაზე, რომელმაც ვაშინგტონის ვარაუდით ბოლო უნდა მოუღოს ჯ. ნერუ—ი. განდის საგარეო-პოლიტიკურ ხაზს.

ინდოეთის ეროვნული კონგრესის (ი) მმართველი პარტიის თვალსაჩინო მოღვაწემ კესავარა რომ აღნიშნა, რომ ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ გააფართოოვა მისი სპეციალისტების მიერ დიდი ხნის შემოშავებული „ბრახმა პუტრის გეგმის“ ჩარჩოები, რომელიც ითვალისწინებს მოსწყვეტოს ინდოეთს მისი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ჩრდილო-აღმოსავლეთი შტატი.

როგორც ერთ-ერთი თვის მომხრის წერილზე პასუხში ხაზგასმით აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ, „საზღვარგარეთ არიან ძალები, რომელთაც სურთ ინდოეთის მთავრობა უფრო მოქნილი და დამთმობი იხილონ. ისინი აქეზებენ გარკვეულ ელემენტებს ქვეყნის შიგნით მოქმედებისათვის, რომლებსაც შეუძლიათ დაგვასუსტონ ჩვენ“.

● ᲐᲨᲨ

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲤᲐᲠᲘᲡᲔᲕᲚᲝᲑᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. პრეზიდენტმა რ. რეიგანმა ამერიკის კონგრესს გაუგზავნა ანგარიში 1981 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მისი ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ.

წერილობითს განცხადებაში, რომელიც თეთრი სახლის პატრონმა ანგარიშს დაურთო, პრეზიდენტი ამტკიცებს, თითქოს ამერიკის პოლიტიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში 1981 წელს მიზნად ისახავდა იმას, რომ ეს საერთაშორისო ორგანიზაცია „უფრო ქმედითი“ ყოფილიყო.

პრეზიდენტის ამგვარი მტკიცება გასაოცარი ფარისევლობის ნიმუშია. სწორედ ვაშინგტონი უშლის ხელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მნიშვნელოვანი დოკუმენტების მიღებას, რომელთა მიზანია გამალებული შეიარაღების შეზღუდვა, მსოფლიოში დაძაბულობის შენელება, პლანეტის სხვადასხვა რაიონში კონფლიქტების მოწესრიგება.

● ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡᲬᲘᲜᲐ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. პირველი არჩევნებისწინა მიტინგი გამართეს ფრანგმა კომუნისტებმა. მიტინგი მოეწყო პარიზის „მუტუალიტეს“ დარბაზში, სადაც საფრანგეთის დედაქალაქის ათასობით მცხოვრები შეიკრიბა.

მიტინგზე გამოსვლისას საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ჟ. მარშემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მომავალ მარტის არჩევნებს. მან თქვა, რომ არჩევნებში მემარცხენე ძალებს საუკეთესო არგუმენტი იქნება იმ მუნიციპალური საბჭოების საქმიანობის შედეგები, რომლებსაც მემარცხენე ძალების წარმომადგენლები უძღვებიან. მემარჯვენე ძალები, დასძინა ჟ. მარშემ, შეეცდებიან რევანში აიღონ 1981 წლის მაისის საპარლამენტო არჩევნებში დამარცხებისათვის. მათ იმედი აქვთ, რომ მაქსიმალურად განიმტკიცებენ პოზიციებს, გააძლიერებენ მთავრობის პოლიტიკისადმი წინააღმდეგობას, მიაღწევენ ქვეყნის ვითარების დესტაბილიზაციას.

საფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ თუმცა მემარცხენე მთავრობამ ვერ დაძლია მთელი სიძნელენი, საერთოდ ქვეყანაში შერჩენილა მნიშვნელოვანი პროგრესი სოციალურსა და ეკონომიკურ დარგებში, აგრეთვე დემოკრატიის გაფართოების დარგში.

6 მარტს ხმა მივცეთ მემარცხენე ძალების კანდიდატთა ერთიან სიებს — ნიშნავს ხმა მივცეთ სოციალურ პროგრესს, თავისუფლებას, საფრანგეთის დამოუკიდებლობას, ხაზგასმით აღნიშნა ჟ. მარშემ.

ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲞᲐᲜᲝᲛᲘ. ვიეტნამის მთავრობამ გადაწყვიტა ცალმხრივი წესით განახორციელოს ლონისძიებანი ვიეტნამ-ჩინეთის საზღვარზე მთავრის კალენდრით ახალი წლის ტრადიციული დღესასწაულის დროს მშვიდობის უზრუნველსაყოფად. ეს ნათქვამია აქ გავრცელებულ ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

17 იანვარს აღნიშნულია განცხადებაში, ვიეტნამის მხარემ ჩინეთს წინადადება მისცა შეეწყვიტათ ყოველგვარი შეიარაღებული მოქმედება ორი ქვეყნის საზღვარზე 1983 წლის 5-19 თებერვლის პერიოდში, რათა საზღვრო რაიონების მცხოვრებლებს შესაძლებლობა ჰქონოდათ მშვიდ ვითარებაში აღენიშნათ ახალი წელი მთავარის კალენდრით. სამწუხაროდ, ჩინეთის მხარემ არ მიიღო ვიეტნამის კონსტრუქციული წინადადება, რაც მოწმობს იმას, რომ მას არ სურს შეანელოს დაძაბულობა საზღვარზე და ცდილობს განაგრძოს მტრული პოლიტიკა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მიმართ.

მიუხედავად ამისა, ხაზგასმულია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა, რომელსაც ამოძრავებს თანამიმდევრული კეთილი ნება, 2 თებერვალს ვიეტნამის შეიარაღებულ ძალებს უბრძანა ჩრდილოეთის მთელ საზღვარზე ცალმხრივი წესით შეწყვიტონ შეიარაღებული მოქმედება ახალი წლის დღესასწაულის დროს. ვიეტნამის მხარე იმედოვნებს, რომ ჩინეთი მის მაგალითს მიბაძავს.

ვიეტნამელი ხალხი, ნათქვამია ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, დარწმუნებულია, რომ მის გულწრფელ და კონსტრუქციულ წინადადებას მოიწონებენ და მხარს დაუჭერენ ჩინელი ხალხი, რეგიონისა და მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი.

● ᲙᲐᲛᲞᲣᲩᲘᲐ-ᲢᲐᲘᲚᲐᲜᲓᲘ

ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘ

ᲞᲜᲝᲛᲞᲔᲜᲘ. კამპუჩიის საინფორმაციო საagენტო იუწყება კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ ტაილანდის ახალი პროვოკაციების შესახებ. 23-27 იანვარს, ნათქვამია ცნობაში, ტაილანდის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებმა რამდენჯერმე დაარღვიეს რესპუბლიკის საჰაერო სივრცე, ხოლო სამხედრო ხომალდები შეეჭრნენ კამპუჩიის ტერიტორიულ წყლებში კოხ იუნგის კუნძულის რაიონში.

ამავე დღეებში ტაილანდის ტერიტორიიდან საარტილერიო ცეცხლი დაუშინეს კამპუჩიის საზღვრისპირა რაიონებს. პოლპოტელთა ბანდებმა შეიარაღებული აქციები ვანახორციელეს კამპუჩიის ტერიტორიაზე.

კამპუჩიის სახალხო-რევოლუციური არმიის მებრძოლებმა საკადრისი პასუხი გასცეს დამრღვევთ. მოსპეს ბანდიტთა ჯგუფი, ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი.

● ᲐᲨᲨ-ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ

ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘ

ᲢᲝᲙᲘᲝ. იაპონიას სულ უფრო ღრმად ირევენ ამერიკის ადმინისტრაციის მშვიდობის საქმისათვის საშიშ მილიტარისტულ სტრატეგიაში. ასე აფასებენ აქ სახელმწიფო მდივნის ჯ. შულცის ვიზიტს ტოკიოში, რომელიც დამთავრდა.

იაპონიის მთავრობისა და სამხედრო უწყების ხელმძღვანელებთან მისი კონსულტაციები მიეძღვნა ორი ქვეყნის სამხედრო მზადების შეთანხმებას. მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე, კერძოდ, მან დაადასტურა, რომ იაპონიამ ვალდებულება იკისრა დაიცვას სამხედრო კომუნიკაციები შორეულ აღმოსავლეთში.

ტოკიოში გამართული მოლაპარაკება მოწმობს, რომ რეიგანის ადმინისტრაცია, რომელიც ცდილობს დასავლეთ ევროპაში განალაგოს ახალი ამერიკული ბირთვული იარაღი, დამატებითი სარაკეტო საშუალებების შორეული აღმოსავლეთის რეგიონში განლაგებისათვისაც ემზადება.

● ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ

ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ

ᲟᲔᲜᲔᲕᲐ. აქ დელეგაციათა შეხვედრით განახლდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების შესახებ. სსრ კავშირის დელეგაციას მეთაურობს ვ. პ. კარპოვი, ამერიკის შეერთებული შტატებისას — ე. რაუნი.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲡᲐᲜ-ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲡᲙᲝ. ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ კინოთეატრში გაიხსნა საბჭოთა ფილმების ფესტივალი. ამერიკელ კინოკრიტიკოსთა და პრესის მაღალი შეფასება დაიმსახურა რეჟისორ ნანა მჭედლიძის ფილმმა „პირველმა მერცხალმა“, რომელსაც გაზეთმა „სან-ფრანცისკო ქრონიკლმა“ „საოცარი ფილმი“ უწოდა. გაზეთმა განსაკუთრებით ქება შეასხა მთავარი როლის შემსრულებელს დავით ანაშიძეს.

ფესტივალის პროგრამაშია ოცზე მეტი სხვადასხვადროინდელი კინოსურათი, მათ შორის „ჯავშნოსანი „პოტიომკინი“, „ალექსანდრე ნეველი“, „აზნაურთა ბუდე“ და სხვ. დიდი ყურადღება მიიპყრეს ფილმებმა საბჭოთა კინოს გამორჩენილი ოსტატის ნიკოლოზ ჩერკასოვის მონაწილეობით, რომლის შემოქმედებას ყოველკვირეულმა „სანდი ტრიბუნმა“ ვრცელი სტატია უძღვნა.

საბჭოთა ფილმებს უჩვენებენ აგრეთვე საუნივერსიტეტო ქალაქ ბერკლში.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲐᲗᲬᲚᲔᲣᲚᲔᲑᲘ

4 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ ᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ, ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ 35 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ.

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘᲡ მცხოვრებთა და სტუმართა დიდი მოწონება ხვდა წილად საბჭოთა წიგნის გამოფენას, რომელიც დედაქალაქის უდიდეს მაღაზიაში — „დარიაში“ გაიხსნა. მნახველები დიდი ინტერესით ეცნობიან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ და მხატვრულ ლიტერატურას. ხუთასზე (ზემოთ): ექსპოზიციის დათვალიერებასა.

ᲬᲚᲔᲑᲘᲡᲐ და სამშობლოს თავისუფლებისათვის, სოციალიზმისათვის მებრძოლ გმირთა მონუმენტი თავისუფლების პარკში (სურათზე ქვემოთ).

ᲐᲯᲐᲠᲘᲐᲠᲔᲑᲘ — ᲡᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲡ ფოტო.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ



ᲨᲔᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲡᲔᲚᲡ ᲮᲚᲐᲠᲗᲐᲕᲔᲜ

ᲓᲔᲚᲘ. ინდოეთის მთავრობამ განახორციელა ღონისძიებანი ამერიკის შეერთებული შტატების იმ გეგმების შესახებ პრესაში დაბეჭდილი ცნობების შესამოწმებლად, რომელთა მიზანია ინდოეთის ეროვნული ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ძირის გამოთხრა. ეს განაცხადა ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პ. ვ. ნარასიმჰა რაომ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული პარლამენტის საკონსულტაციო კომიტეტის სხდომაზე გამოსვლისას.

სარწმუნო წყაროების დამოწმებით ადგილობრივი პრესა წერს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აწყობს შეთქმულებას, რომლის მიზანია შეასუსტოს ინდოეთი და ძირი გამოუთხაროს სხვა სახელმწიფოებში მის გავლენას. ეს შეთქმულება, აღნიშნავს გაზეთ „პეტროიტში“ მისი მთავარი რედაქტორი რ. კ. მიშრა, ნაწილია მსოფლიოში, და, კერძოდ, განვითარებად ქვეყნებში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ძირგამომთხრელი ოპერაციების

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲓᲐᲖᲕᲔᲠᲕᲝ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲕᲒᲔᲓᲘᲗᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ

გაძლიერების რეიგანისეული საერთო გეგმისა. განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება ინდოეთს, რომლის დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა დიდი

ᲝᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ᲩᲐᲓᲠᲘᲚᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ გაზეთის მკითხველებმა უკვე იცით რომ ნანა ალექსანდრიამ იუგოსლავიის ქალაქ იაიცეში გამართულ ქალთა საერთაშორისო შეჯიბრებაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, ხოლო ბუხუტი გურგენიძემ და ნანა იოსელიანმა აფრიკის კონტინენტზე ზამბიაზე დედაქალაქ ხარარეში ამ ქვეყნის ვაჟთა და ქალთა ჩემპიონატში წარმატებით იასპარეზეს. „ლომუნისტის“ კორესპონდენტები შეხვდნენ უცხოეთიდან ახლახან დაბრუნებულ მოჭადრაკე ქალებს და ჩამოართვეს ინტერვიუ.

ᲥᲐᲚᲗᲐ „ᲝᲡᲙᲐᲠᲘ“ — ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐ!

ᲒᲕᲔᲚᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ ᲜᲐᲜᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐ

— რა შეიძლება ითქვას იაიცეს საერთაშორისო ტურნირზე?

— ეს შეჯიბრება 1981 წლიდან იმართება და, როგორც მოგეხსენებათ, მასში წარმატებით გამოდიან ქართველი მოჭადრაკეები. ჩვენი ტურნირი რიცხვით მესამე იყო. ორგანიზატორებს ამჯერად განზრახული ჰქონდათ ეგრეთ წოდებული „სუპერტურნირის“ მოწყობა მსოფლიოს წამყვანი მოჭადრაკეების მონაწილეობით. ეს იდეა ვერ განხორციელდა. სხვადასხვა მიზეზის გამო ასპარეზობაში გამოსვლა ვერ შეძლეს მსოფლიო ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ, მსოფლიო ექჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა და დიდოსტატმა ნანა იოსელიანმა. სულ უკანასკნელ მომენტში თამაშზე უარი განაცხადეს რუმინელმა დიდოსტატებმა: მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტმა მურუშამ და პოგორეკინმა. ასე, რომ, 10 მონაწილეა დარჩა.

— და მაინც, როგორი იყო ტურნირის შემადგენლობა?

— ჩემს გარდა ჩვენი ქვეყნიდან თამაშობდა საბჭოთა კავშირის ოთხგზის ჩემპიონი ლევინტინა, პოლონეთიდან — დიდოსტატი ერენსკა-რაძიკოვსკა, უნგრეთიდან — დიდოსტატი ვერეცი-პეტრონჩი, იუგოსლავიის ჩემპიონი, დიდოსტატი ლაზარევიჩი. შეჯიბრებაში მონაწილეობდა აგრეთვე ორი საერთაშორისო ოსტატი: პეტროვიჩი და დრაგაშევიჩი, ოსტატები ეიგაკოვიჩი, 18 წლის ვერუში და 13 წლის მარიჩი.

—როგორ წარიმართა შეჯიბრება?

— როცა სულ 9 პარტიაა გასამართავი, დიდი მნიშვნელობა ენიჭება თითოეულ შეხვედრას. იზრდება სტარტის მნიშვნელობაც. ჩემდა საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად გამოვიდა. 6 პარტიის შემდეგ 5,5 ქულა მქონდა. ერთადერთი ყაიმი ახალგაზრდა ვერუშთან გავაკეთე. ამ მომენტში მე ქულა-ნახევრით ვუსწრებდი ვერეცი-პეტრონჩს, ორი ქულით — ლევიტინას. სწორედ ესენი იყვნენ ჩემი მთავარი კონკურენტები და გაზეთებმა კიდევაც დაწერეს, ალექსანდრიას დაჩეკვა შეეძლებელიაო. მე შვიდე ტურში შევხვდი ლევიტინას. ეს პარტია ჩემს სასარგებლოდ წარიმართა და საგრძნობი უპირატესობაც მქონდა. ძლიერ ცეიტნოტში ყველაფერი შეიცვალა. აქ შეცდომა მომიგიდა და პირველი დამარცხება ვიგემე. მომდევნო პარტია მოვიგე. ახლა ყველაფერი უკანასკნელი ტურის პარტიის უნდა გადაეწყვიტა ვერეცი-პეტრონჩთან. მოგების შემთხვევაში იგი მისწრებდა კიდევაც, მაგრამ შუა თამაშში თვით შემომთავაზა ყაიმი. საბოლოო შედეგი ცნობილია: 9 პარტიიდან 7 ქულით პირველ ადგილზე გამოვედი. 6,5 ქულა მოაგროვა ვერეცი-პეტრონჩმა, 6 — ლევიტინამ.

— ახლოვდება თქვენი მატჩი ლემაჩკოსთან. რას გვეტყვით ამის შესახებ?

— ლემაჩკო ყველასათვის ცნობილი მოჭადრაკეა, პრეტენდენტთა მატჩებში მესამედ ჩაებმება. სამწუხაროდ, პრეტენდენტთა მატჩებზე, მათ შორის ჩემს მატჩზეც რაიმეს თქმა ჯერ არ შეიძლება, გარდა იმისა, რომ ისინი, ეტყობა, მარტის ბოლოს დაიწყება. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება, გვთავაზობენ სხვადასხვა პროექტებს. ერთი სიტყვით, უნდა მოვიცადოთ.

— ჩვენ ინტერესით გავეცანით ინტერვიუს, რომელიც თქვენ აიღეთ ფიდეს ახალ პრეზიდენტ კამპომანესთან (ფილიპინები) და რომელიც მოსკოვის საჭადრაკო ურნალ „64“-ში დაიბეჭდა.

— დიახ, ამ ინტერვიუს უკვე ჰქონდა თავისებური „გამომაუურება“. ქალებს გვწყინდა, რომ საჭადრაკო ჟილდო „ოსკარი“ მხოლოდ ვაჟებისათვის იყო დაწესებული. სულ ახლახან ცნობილი გახდა, რომ მიმდინარე წლიდან „ოსკარს“ ქალებსაც მიაკუთვნებენ. მინდა აღვნიშნო ისიც, რომ თავის დროზე ქართველმა მწერლებმა, გაზეთებმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ და „კომუნისტმა“, გარკვეული საზოგადოებრივი აზრი შექმნეს „ოსკარით“ მოჭადრაკე ქალების დაჯილდოების თაობაზე, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ. გარდა ამისა, ჩვენ გვინდა მეტი, უფრო საინტერესო ტურნირები გვქონდეს. ეტყობა, ამისაც მივაღწევთ. ერდი სიტყვით, ვიბრძვით „თანასწორუფლებიანობისათვის“.

— ამ ბოლო ორ-სამ კვირაში ... ?

— ... ეს ... ?

— ... ?

— ... ?

— ... ?

— ... ?

— ... ?

—